ნელობით შეუდგნენ საგარ და გრძელ ხარისხების კრის და  
ცეცხლზე ხმობის, რაიცა ფარის გასამართავიდ და თან სხვა-  
და-სხვა დაბრულების მოსავერებლად სჭირდებოდათ.

ამინდი შშვენიერი იყო, ქარი არა ჰქონდა და მდინა-  
რეც, თუმცა ჩქარი იყო, მაგრამ მაინც შშვიდობიანად მიმდი-  
ნარეობდა უდაბურ ნაპირებს შორის.

ჩვენი მოგზაურები უშიშრად გაემართნენ, თუმცა კო-  
ტა ლელავდნენ, რაც ბუნებრივი მოვლენა იყო უძველეს დრო-  
ის მეზღვაურებისათვის. ფარი, გარს შემოხვეულ ლელისაგან  
განთავისუფლდა, გაცურდა მოხდენილი ქინიობით ზეირთებზე  
ნაპირებ შორის, რომელზედაც უკვე შწეანე ბილახი ბიბი-  
ნებდა.

მარიამ იაშვილი.





## გიგია პორნილის საიდუმლო.

(დასასრულო).



უ ვინშე ჰქოთხავდა, სად შოულობთ  
ამდენ სამუშაოსაო, ბატონი კორ-  
ნილი მიიღებდა თოთს ტუქჩებზე და  
დიდმნი შენელოვნად ეუბნებოდა:  
— სს! ჩემი საფქვავი საზღვარ-  
გარედ გააქცო.

ამის შეტი ვერავინ ვერავერი გაიგო, ფიქრიც კი შეტია  
იმაზე, რომ ვინშე შეპარულიყო წისქვილში და იქაურობა  
ენახა; პატარა ვივეტასაც კი არ უშევებდა მოხუცი წისქვილ-  
ში. როდესაც უნდა გაგველოთ წისქვილის წინ, ყოველთვის  
დაინაბეჭით მაგრად დაკეტილ ვარებს, დიდ ფრთებს, რომე-  
ლიც განუწყვეტლივ ტრიალებდა; ბებრეკ ჯორს, რომელიც  
გახოველ მიწაზე ბალასს სძოვდა და დიდ გამხდარ კატას,  
რომელიც იწვა ფანჯარაზე, მზეზე თბებოდა და გაბრაზებით  
ადევნებდა თვალს გამვლელ-გამოვლელთ.

უმ, ბებერი კუდიანი! უნდა ვენახათ, როგორ მიმიღოს კერძოს გზით ვერ გვეალებინე წისქვილის ჯრი. რის ვით-ვიგ-ლაპით თუხსენი საქმის ეითარება ჯრების კუქრუტანიდან. ამ დროს ის გმიშმარი ეშვავი კატა იჯდა ფანჯარაზე და კრუ-ტუნებდა. კორნილმა არც კი დამაცალა და დაიწყო უზრდე-ლად ყვირილი, დაებრუნებულიყვა ჩემს სალამურთან და, თუ მეჩქარება შეილის დაჭორწილება, სა ცოლოდ მომედებნა ორთქ-ლის წისქვილის პატრონის ქალი. წარმოიდგინეთ ჩემი მდგრ-მარება: მოხუცის ურიგო სიტყვებმა საშინლიად მიაღელვა, მაგრამ თავი შევეიავე, მივატოვე გირი ბებერი და დაებრუნ-დი შინ, რომ მემშნა ჩემი თავებისავალი შეიღებისასთვის საწყლებს ვერც კი წარმოიდგინით, რომ ჩემი ნამშობი მარ-თალი იყო. დიდი თხოვნის შემდეგ დავთანხმდი გამეშვა ორივ: შეკვერებული ბატონ კორნილთან მოსალაბირა კეტლად. ერ-ვეტა და ჩემი ვაეკი მოემზადნენ და ვასწიეს წისქვილისაკენ. როდესაც ისინი მოტიცნენ, ბატონი კორნილი ის იყო წალუ-ლიყო. კორებს კლიტე ედო, მაგრამ იმ სწყალს წასვლის წინ კიბე ვარედ დარჩენოდა. შეკვერებულთ ეს არ ესიაშვინათ. ცოტა ხნის შემდეგ მოიფიქრეს, ვალაშმერალიყვნენ ფაჩ-ჯრიდან და დაეთვალიერებინათ ეს ყველასათვის საიდუმლო წისქვილი. საკვირველი საქმის წისქვილი ცარიელი იყო, არც ტომჩები, არც ერთი პურის მარცვალი, ერთი ბეწო ფქვილი



არ იყო არც კედელზე, არც ობობას ქსელზე... წისქვერძიშვილი იდგა ჩვეულებრივი მშენებელი სუნი ახალ დაფურული პურისა... ღერძი სქელი მტკრით იყო დაფარული, რომელზედაც ხანდისხან განისვენებდა დიდი, გამხდარი კატა. ქვედა სართულის ოთხს ეტყობოდა სიღარიბე და მოუკლელობა, ძერლი ქვეშავები, რამდენიმე მჩვარი, ერთი ნაკერი გამხმარი პური, რომელიც ეგდო კიბის საფეხურზე და კუთხეში საში თუ ოთხი დაგლუჯოლი ტომარია, კირისა და გაჯის ნამტრევებით სავსე. ეს გახლდათ ხაიდუმლო ბატონ კორნილისა. ხალამო-ობით ბატონ კორნილის შარაზე თურმე ეს ნაგებით ხავსე ტომრები დაქჭინდა ჯორით და უკელა კი ჰფიქრობდა, რომ ხატქვივი იყო...

სიწყილი წისქვილი! საწყალი კორნილი! უკვე დიდი ხანია, რაც ორთქლის წისქვლიში ჩამოაცალა უქანასკნელი მუშატარიც კ. ბართალია, ფრთხი ყოველთვის ტარიალებდა, მაგრამ ხვიმორა \*1) კარიელი იყო და სარეკელა ტყუილის რაბრისხებდა. თხალვაზედი დაბრუნდნენ ტირილით და მიამბეჭ ნახული. ამ ავბაები გული შემიწევა. იმ წამსვე გავიქმეცი მეზოლებთან, რამდენიმე სიტყვით უამბე, რაც ვიცოდი. უკელანი შევიქრიბენით და გადავწყვიტეთ დაგვეტვირთა ჯორები ხორბლით, ეისაც რამდენი მოყპლებოდა სახლში, და წაგველო ბატონ კორნილთან წისქვილში, თქმა და ასრულება ბა ერთი იყო. მთელი სოფელი მოეშურებოდა შარა გზაზე. ყველამ გავსწიეთ წისქვილისკენ, ხორბლით დატვირთულ ჯორების დიდი ქარავნით. ახლა კი ნამდვილი ხორბლით! წისქვილის კაჩები განიცრად იყო გახსნილი... კარების წინ ბატონი კორნილი იჯდა ნაგვით ხავსე ტომრებზე, მტირალი. თავი ხელებზე ჭრინდა და შეებული. მოსელის უმაღლე

\*1) ბორბლის მაღლა ყუთი, ხევით განიური და ქვევით ვეწრო, ხა-დაც ჟყრიან დასატევავ ხორბალს და საიდანაც ხორბალი ნელ-ნელა სცენა დასატევავად.

გაევო, რომ იმის წისკლის შემდეგ ვიღაც გადაშეძრალიყო ფანჯარიდან წისქვილში და შეეტყო იმის სამწუხარო საოფუძლო.

— საწყალო ჩემო თავი! — იძიხოდა, — ანდა, სიკედილის მეტი არავერი დამზრნენია. წისქვილს სახელი გაუტყდა...

გულ-საკლავად განაგრძოდა ტირილს და თან წისქვილს ელაპარაკებოდა, როგორც ცოცხალს, დაუწოდებდა საალექტო სახელებს. იმასთანაში ჩვენ კ ჯორებით ავედით წისქვილის ბაქანაზე და მოვრთეთ ძახილი, როგორც სანატორელ წარსულს დროს:

— ჰეი!.. მეწისქვილევე!.. ჰეი!.. ბატონი კორნილი!.. და წისქვილთან დაგროვდა ზედი-ზედ ტომრები, სავსე შშეენიერი ხორბლით, რომელიც გაითანარა დედა-მიწაზე ყოველ-მხარეს... ბატონი კორნილი გაშტრეტებული იყურებოდა. თილო ხორბალი მუჭაში და მშბობდა მოცინარი და მოტირალი:

— ნამდევილი ხორბალი!.. ღმერთო მაღალი!.. მშეენიერი ხორბალი!.. გამაძლეთ ერთი ამის ყურებით.

შემდეგ მოგვიბრუნდა ჩვენ:

— ჰო! მე ვიცოდი; რომ თქვენ მოხვიდოდით... ეს სულ ქურდი ორთქლის წისქვილის ბრიალია.

ჩვენ გვინდოდა ზეიმით შეგვეყვანა მოხუცი სოფელში.

— არა, არა, ჩემთ შეილებო. ჯერ უნდა დაგპატიკოთ ჩემ წისქვილში. დალლილები იქნებით აქ ამოსვლით და დასვენება გესაჭიროებათ.

ჩვენ ცრემლ-პირეულ თვეოს ვადევნებდით იმის ფაურის ხან შარჯვნივ და ხან მარტნივ, იგი ხსნიდა ტომრებს და თვალ-ყურს აღევნებდა ქვის ტრიალს. იმასთანაში ხორბალი იუქვეოდა და ფეხილის წმინდა შტვერი აღიოდა ჰეირში.

ჩვენ არ გვინდოდა მოხუცის შეწუხება და დაგბრუნდით-შინ. ამ დღიდან ბატონ კორნილისათვის არ მოგვიყლია სა-

ფქვავი. შემდეგ, ერთ დღეს ბატონი კორნილი მოკვდა და ჩვენი სოფლის უკანასკნელი ქარის წისქვილის ფრთხებიც შესდგა, ახლა კი სამუდამოდ. კორნილი მოკვდა და იმის საქმე იმის შემდეგ აღარავის განუგრძია. რა კრისტ, ბატონებო!.. ამ ქვეყნიდ ყველაფერს ბოლო აქვს და უნდა ვისუქროთ, რომ ეამთა ვითარების ძალით ქარის წისქვილები ისე ჩიბარდება წარსულს, როგორც რეინის ბორნები და დიდ-ყვავილებიან პიჯაკები.

ალ. გველესიანი.





გ. ქ. ჭ.

## ღმუარსაპ გერასიმეს-ძე გოცვაშვ.

(თრდახუთი წლის საზოგადო მოღვაწეობის გამო.)



ინველ სეჭრეშბერს შესრულდა ოცდახუთი  
 წელიწადი მას აქეთ, რაც პირველად გამოვიდა  
 საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზშედ ქართველ  
 საზოგადოებაში კარგად ცნობილი პედაგოგი  
 ლუარსაბ გერასიმეს-ძე ბოკვაძე. მთელი მეო-  
 თხედი საუკუნის განმავლობაში საზოგადო ას-  
 პარეზშედ მოღვაწეობა შეტან საძნელო და სა-

მძიმთა, მაგრამ მიუწედავად ამისა ბ-ნმა ბოკვაძემ, საზოგადო მომავალი და დამატების სიყვარულით გამსჭვალულმა, სტრია ყოველივე დაბრულება და პირნათლად შეასრულა თავისი მოქილაქობრივი მოვალეობა სამშობლო ერის წინაშე.

ამიტომ ჩვენ ფრიად საჭიროდ მიგვაჩინია გავიცნოთ „ნაკადულის“ მკითხველებს ვინაობა და ღვაწლი იმ კაცისა, რომელიც უცდახუთი წლის განმავლობაში დაუღილებად შრო მობდა ქართველი ერის გონიერობისა და წარმატებისთვის და დღესაც ამავე სიყვარულით და ენერგიით იღწვის თავის სამშობლო ქვეყნის საკეთოლდღეოდ.

ლუარსაბ ბოკვაძე დაიბადა სოფელ ნოღაში, ქუთაისის მაზრაში. ლუარსაბის მამა, გერასიმე ბოკვაძე, სასულიერო წოდების კაცი იყო და ამიტომ იგი სულითა და გულით მონდომილი იყო შეიღისათვის შესაფერი სწავლა განათლება მიეცა. მამამ პატარა ლუარსაბი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან ლუარსაბი გადავიდა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, ხადაც მან კურსი დაასრულა 1888 წელს.

ამავე წლის პირველ სექტემბერშივე ლუარსაბ ბოკვაძე დანიშნეს სოფელ წყალტუბოს, ქუთაისის მაზრაში, სამინისტრო სკოლის მასწავლებლად. სოფელ წყალტუბოს მკვიდრნი იმ ეამად ძლიერ უნდობლად კუდიგონდნენ სკოლას და თითქმის წინააღმდეგნიც იყვნენ ბავშვები მიებარებინათ სასწავლებელში. ვიღიაც სკოლის შენობის გადაწყვიცე კი განიჩრახა, მაგრამ ეს ბოროტი განზრახვა დროზედ გაუგეს და სკოლის შენობა განსაცდელს გადაარჩინეს. ლუარსაბ ბოკვაძეს მრავალი შრომა და მეცადინეობა დასკირდა, რომ სოფლებლები სკოლის საეუნდობლად არ მოპყრობოდნენ. ლუარსაბი დატრიალდა ხალხში და სიტყვით და საქმით უმტკიცებდა ხალხს. სკოლის დიად მნიშვნელობას. მართლაც მისმა დაუღალავდა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. სამი წლის განმავლობაში წყალტუბოს სამინისტრო სკოლაშ ლუარსაბის მეცადინეობით დაისსახურა საზოგადოების სრული ნდობა და სიყვარული.



სოფელ წყალტუბოდან ლუარსაბი გადავიდა წინამდლვარი-ინ სამეურნეო სასწავლებელში, სადაც დაჲყო მხოლოდ ერთი წელიწადი, რის შემდეგაც იგი წერა კიოხის გამდერულებელი საზოგადოების გამგეობის მიერ გამშესებულ იქნია კვევაის სკოლის უფროს გამგე მას წავლებლად.

თოთხმეტი წელიწადი მასწავლებლობდა ბ-ნი ლუარსაბ ბოკაძე კავკაცში და ამ ხნის გამავლობაში დიდი საგულის-ხმიერო იყო მისი მოღვაწეობა სკოლის უკეთ მოწყობისა და წარმატების საქმეში. სწორედ იმ დროს, როცა ლუარსაბი დანიშნეს მასწავლებლად კავკაცში, სკოლა მოთავსებული იყო ნაქირავებ შენობაში. ბ-ნი ლუარსაბი აღვილობრივ მოღვაწე-ებთან ერთად შეუდგა სკოლის საკუთარი შენობის შეძენის ზრუნვას. შეთანხმებულმა შრომის სასურველი ნაყოფი გამოიიღო. სულ მოკლე ხანში აღვილობრივ საზოგადოების დამმარებით სკოლის საკუთარი შენობა მოუპოვეს, ააშენეს სკო-ლისათვის საკუთარი უკლესია და გამართეს შევენიერი საოთა-ტრო დარბაზი და ჭრა-კერვის სკოლა ქალებისათვის. უკელა ამ საშეილოშეილო საქმების სათავეში სხვა აღვილობრივ მო-ღვაწეებთან ერთად უანგარისდ შრომისაბდა ბ-ნი ლუარსაბ პო-ცვაძეც, რომლის მოღვაწეობა ამ მხრით შეტაც ნაყოფიერი და საგულისხმიუროა. რაჯი სკოლის საკუთარი შესაფერი შე-ნობა შეიძინა, სწავლია-ღზრდის საქმეც სკოლაში უფრო შეკიდრ და საფუძვლიან ნიადაგზეც დამყარდა ბ-ნი ლუარ-საბის ხელმძღვანელობით.

ლუარსაბ ბოკაძის მეტადინერამით კავკაცის სკოლაში და განსვენებულ დავით სარიაჯიშვილის ქარხანაში დაარსდა საკუ-რაო სკოლები, საცა ჩვენი დაულალივი პედაგოგი მდიბიო ხალხს და მუშებს ბუნდოვანის სურათების საშუალებით აწედიდა შესაფერ კოდნას.

1906 წ. 1 სექტემბრიდან ლუარსაბ ბოკაძე დაინიშნა ტექსტის ქართულ გამნაზიის მასწავლებლად და ამ ქამადაც ამ თანამდებობასაც თვეისებური წევალებრივი მხედობით და ქმერებით ეწევა.

1908 წელს ლუარსაბი აირჩიეს წერა კითხვის გამარტინული ლეგენდა საზოგადოების გამგეობის წევრიად და მის იქნა ამ ფრინად საპატიო და პასუხ-საგებ თანამდებობას ღირსეულიად ასრულებს.


1908 წლიდან ლუარსაბ ბოკვაძე თავის რედაქტორობით სტამბოვს საპედაგოგიო კურნალს „განათლებას“ და შენ დარღვად უდგას ყველა იმ საღ პედაგოგიურ პრინციპებს, რომელსაც ამ ეძმად ჰქადაგებენ თანამედროვე საუკეთესო პედაგოგები.

ლუარსაბ ბოკვაძე ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში თითქმის ყველა ქართულ კურნალ განვითარებში მონაწილეობას იღებდა. კურნალ „ნაკადულში“ დარსებიდანეე მუდმივად თანამშრომლობდა და ტეილისში გადმოსახლების შემდეგ ამ კურნალის სარედაქციო კომისიის წევრად იქმნა მოწვევული-ლუარსაბის სალიტერატურო ნაწარმოები უმთავრესად შეეხება საქართველოში სწავლა აღზრდის უკეთ მოწესრიგების საქმეს. მისი შეურყეველი პედაგოგიური რწმენა, რომ მოზარდი თაობის ნორმალური სწავლა განათლება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით. ამიტომ ბ-ნი ლუარსაბი ბეჭდვით სიტყვის საშუალებით, პირადის მოქმედებით ყველგან და ყველას იმას უმტკიცებს, რომ სამშობლო ენის გარეშე სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში მოუხერხებელი და შეუძლებელია.

ასეთია შრომა და მოღვაწეობა იმ იდეამიანისა, რომელიც აუდახუთი წლის განმავლობაში მხნედ და დაუღალევად ემსახურება თავის სამშობლო ენს. უიდ, ლუარსაბ ბოკვაძე პირნათლად ასრულებს თავის პოქალიაქმბრივ მოვალეობას საზოგადოების წინაშე და მის ამ ეძმად თამამად შეუძლია სიქვე: „Feci quod potui, faciant meliora potentes“ \*).

ა. მიქაბერიძე.

\* ) რაც შევძელი გავაკეთე, ვისაც მეტი შეუძლია, ღვე მარ გააჭროს.





## ელექტრონის სასტაულები.

(წერილი პირველი).

### 1. კლფა და ჭუხილი.



ლეა და ჭუხილი ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ იცის. რამდენადაც ციფრი რომელიმე ქვეყანა, იმ-  
დენად ნაკლებად იცის იქ ელფა-ჭუხილი; ხო-  
ლო, სადაც გამუდმებული ზომთარია, იქ ელ-  
ფა-ჭუხილი თითქმის სრულიადაც არ იცის. მა-  
გალითად ჩრდილო-ყინულოვან უკეთესობა  
და კუნძულებზე მცხოვრები 10—15 წელი-  
წილში ერთხელ თუ ნახვენ და გაიგონებენ ელ-  
ფა-ჭუხილსა, თორებ მეტჯერ ვერა.

სულ სხვის ვხედავთ ცხელ, ქვეყნებში. იქ იშეიათად გა-  
იკლის წელიწადი, რომ ათჯერ და ოცჯერ არ ნახონ და არ  
გვიგონონ მცხოვრებლებმა ელფა-ჭუხილი. მაგალითად: ჩვენს  
საქართველოში იშეიათი არ არის; ელფა-ჭუხილის რამოცჯერ  
მონც ვნახავთ და გვიგონებთ ხოლმე წლის განმავლობაში. ამის  
მიზეზი — მარტო სიცემ არ არის: არა ნაკლები მიზეზი — ჩვენე-  
ბური მაღალი მოგბის სიმრავლე და სიმრიცა. შენიშნულია,  
რომ რამდენათაც მეტიც რომელსამე ქვეყანაში მოგბი, იმდე-  
ნად უფრო ხშირად იცის იქ ელფა-ჭუხილი. ეს ცოტაა. არის  
ისეთი მოიანი აღვილები, სადაც ელფა-ჭუხილი თითქმის ყო-  
ველ დღე იცის. აღსანიშნებია ის მბავიც, რომ ზღვაზე, მე-  
ტრილე მისი ნაპირების და შორებით, ელფა-ჭუხილი თითქმის  
სრულიად არ იცის, თუმცა იმავ დროს, თუ მოგბი ახლოთა



ზღვის ნაპირებთან, იქ ელვა-ქუხილი ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჩვენში ელვა-ქუხილი უფრო ზაფხულობით იცის, სახელ-დობრი, აპრილში, მაისში, თბილისთვეში, მექათვეში, მარიამო-ბისთვეში და ენენისთვეში, მაგრამ უფრო-კი შუა ზაფხული-ში. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში. ელვა-ქუხილი უფრო იანვარში იცის. ოლსანიშნავია აგრეთვე ის ამბავი, რომ ელვა-ქუხილი მომეტებულია იცის შუადღის ხანებში და საღამოს ქქესი-შეიდრ საათიდან ლამით. ოლსანიშნავია აგრეთ-ვე, რომ ელვა-ქუხილიანი აედირი ჩვეულებრივ იწყობა რო-მელსამე ხეობაში და მოდის ქვემოდ, ხოლო, თუ გზაზე გდი-ნარე დახვდა, იშეიათად, რომ გამოიდა გადმოვიდეს. ელვა-ქუხილიანი ღრუბელი ერიდება აგრეთვე დიდრონ ტყებშა და თუ გზაზე ტყე დაუხვდა, გარს უვლის. ეს არის მიზეზი:



რგვალი ელვა.

რომ სანამ რომელსამე ქვეყანაში ტყეები ხშირია, ხალხში სე-ტყვაც არ იცის არ არის, ხოლო ტყეების გაჩევის შემდეგ, სეტყვაც ხშირდება. სახით ელვა-ზეერნაირია: სწორი, დაკლაკილი, რგვალი.



და სხვა. სხვა-და-სხვაა იგი ფერითაც: მოლურჯო, მოწვევებურჯო  
მოშრებნო, მოწითალო და სხვა. სხვა-და-სხვაა აფრეთვე სი-  
კრძით: არის ელვა 10—15 საეკნი სიგრძით, არის რვა და




რგვალი ელვა

ათ ვერსიანიც. რაც შეეხება რგვალ ელვას, ზოგი კაელის  
და ქათმის კვერცხის ოდენია, ზოგი კიდევ კაცის თავის ტო-  
ლაა და ხშირად საშინელის ძალით გასქდება და დაიჭექებს.

## 2. რა შეუძლიან ელვას?

დიდი აუწერელი ვნება და ზარალი შეუძლიან მოუტა-  
ნოს ელვამ დღამიანს, მაგრამ არც ისე ხშირად ხედება ძღამი-  
ანს ეს ზარალი, რომ თავ-დავიწყებამდე ვვეშინოდეს მისი და  
ტახტ ქვეშ ვძვრებოდეთ, როგორც ამას ზოგიერთი უმეტარ-

ნი სჩიდიან. როცა ელვა დაეცემა მიწაზე, რასაც-ეი მოხვდებართება, უკელაფერს ანაღვურებს — სწავლს სიხლებს, შეშის, ხეებს, თივს, აღნობს ყოველგვარ ლითონს, ქვებს, ქვიშას, ჰელივს კაცს, ცხოველს და სხვა. ელვის დაცემას რაზედმე ქართველები მებს ვეძიათ. როცა მები პირდაპირ მიწაზე დაეცემა, თუ ქვიშნარი დახვდა, ქვიშას გააღნობს და საითქმნაც გაივლის, ყველგან ქვიშისაგან შედულებულ მილებს გააკეთებს. ზოგსა ჰყონია, რომ ეს მილები ციდან მზა-მზარეულიად ვარდებოდეს, მაგრამ, როგორცა ვსთქვით, ეს მილები ანუ შედულებული ქვები იქვე კოდება დედამიწაზე მებისაგან.



მების დაცემა სახლზე.

თქმულიდან სჩანს, რომ ელვას სიცხოველებ ჰქონია. შერე ისეთი დიდი, რომ უმაგრეს ლითონებსაც აღნობს. ამ რატომ არის, რომ შებ-დაცემულ კაცს თუ ცხოველს ტანზე ატყვიით დაწვის ნიშნები — ზოგს კანი აებურცება, თითქმ ცხელი წყლით დასწიიათ, ზოგს — სულ მთლიად დაუნახშირდება ხოლმე რომელიმე ნაწილი სხეულისა...


3. នានាគ់សង្គម-ក្រុមដែលទទួលបាន និច្ចជាប្រព័ន្ធដូចខាងក្រោម

ბალტის ზღვის პირად ათას ფეროვან კენჭებს შორის, თქვენ შეგვდებით პატარა ყვითელ კენჭებსაც, რომელებსაც ჩვენ, ქართველები, ქარგას ვეძახთ. ჯერ კიდევ უწინ, 600 წლის წინად ქრისტეს შობამდე ბერძნების ერთმა სწავლულმა, თალესმა, შენიშნა, რომ თუ ქარვის წაუსვ-წიმოუსვებთ მაულს, ქარვაში ალინდერება რაღაცა ძალა, რომელიც იჩიდავს პატარ-პატარა ბუმბულს, ჩალას, ქალალის და სხვა ასეთ სუბუქ რამებს. ქარვის ბერძნულად ელექტრონი ჰქვიან, ამიტომ მას აქვთ ქარვის მოხსენებულ ძალისაც ელექტრონი დაარწევს.

աելու Աբովյանունք, հոմ յարցուն ամ օպեռաս, ըլլայեթրոններ, Սպուզի առա թարթու քարցա, առաջել լուսից, ցողովու-  
գու, Ցուշու դա ազրտոցց տցուտ լցուամիթու, Յայրու դա աւա-  
մանունց. հոմ Ըանթիմունցը—Յայրին թահութուն ծցյունո ըլլայեթր-  
հոնու տոյ առա, ցայցեցու Ցուժուցո ցամունցա: Առցու ոհան  
Ցուշու, Ըանթիմունց մացհաճ և Տոյ Տապոննու Ցուշու  
Խայրուցըուն Տեղունցնու Բյուրուն: Կրտ՛մու Թուլուց, Եռուն Թյուրու-  
՛մու Պամպուրուցու Ելլայրունու. Ցոյ Ցուշունու ամ Տեղունցնու չո-  
եցն անօնու Եռչչունու որու-որու Եռչչուն. Ցուժուցո առցու Ցուշուն  
Խօնուն, Մայսչ-Մայուսցու մացրաճ մայուն, հոմ մուտ ալթիստ  
Ցուշուն Խօնունու ցլլայեթրոննու, դա մոուրանցու Թուլու-Եյունուն  
Ցուշուստան; Եռեացու, հոմ Եռմչցնու: Եյցու-ոյցու ցանիցցուն. Առ-  
ցու աելու Մյուրու Ցուշու դա Հանցիուրու մալլու Քայրին. Եռեացու,  
հոմ մուսու Եռմչցնուց ցանիցցուն Եյցու-ոյցու. Իսաւ ցանիցնուն Եռմ-  
չցնու Եռչչունի՞ն: Բատուցուն Առա մոցցոյանցիցնու ցլլայեթրոննու-  
նու Խօնուն?—Եյունուց ոմակրու, հոմ Յայրին Ցուղու ցլլայեթրո-  
նու հայուճա Տանունցնուն չուստու Տոյ Ցուշունու դա Եռմչցնուն Եռչչու-  
նու Եյցու-ոյցու ցանիցնու. Ես Կութաս: հոմ Եռունու ալթիստուն ամ  
Ցուշուն Ցենուննացու, հոմ Ելլայր-Մայուսունուն Ծիրուն յս Եռմչցնու

უფრო ძლიერ იწვევენ იქეთ-იქით. გამოდის, რომ ელექტრონის დროს ჰაერში მატულობს ელექტრონი...

არის ადგილები, სადაც ძლიერ ბევრი იცის ელექტრონი. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, აფრიკაში და ამერიკაში. ჩელე გვიღვიან ზაფხულში ხშირად ისე ბევრი გროვდება ეს ელექტრონი ჰაერში და სხვა-და-სხვა ცხოველებში და საგნებ-



ჰაერის მღელვარება ზარის დარეკის დროს.

ში, რომ ადამიანებს თმა ყალბზე უდგებათ და მათი წვერები-დან ცეცხლოვან წინწერებსა ჰყავის. ვგრეთვე, ხელებს რომ



ასწევენ ხოლმე, თითები ნაპერწყლებსა ჰყრის და თბილისცის  
ტკაცუნიც გაისმის. მიხედვით, რომ უკელა ეს სულ ელე-  
ქტრონის თინებია...

ჩვენ ვთქვით, რომ ქირვაში ან შუშის ჯოხში ელექტ-  
რონი აღიძვრის სრესისაგან; ჰაერში რილასგან აღიძვრის? იქ  
ვიღა და რაღას სრესაგან? — ვინა და მოძრაობა ჰაერისა, რო-  
გორც, მაგალითად, ჭარის დროს. ჰაერი რომ მოძრაობს, იგი  
ეხიხუნება სხვა-და-სხვა სივნებს — მიწის, ზოას, კლდეს, ღრუბ-  
ლებს, ხეებს, სახლებს, წყალს და ამ სახით აღმრავს ელექ-  
ტრონის ძალის ყველვან — დედამიწაზე, ჰაერში და ღრუბლებ-  
ში. ამგვარად, როცა ერთი ღრუბელი მიუხსოვდება მეორე  
ღრუბელს ანუ მაღალ ხეს თუ სახლს ანუ ადამიანს, მაშინ-  
ვე ამ მეორე ღრუბელშიაც, ხეში, სახლებში და ადამიანებ-  
შიაც აღიძვრის ელექტრონი. ეს ელექტრონები ცდილობენ  
ერთმანეთთან შეერთებას, და ი, შეუერთდებიან თუ არა,  
ჩნდება ცეცხლის მხგავსი ნაპერწყალი და გაისმის ქუხილი.

რაც შეეხდა ქუხილს; ე. ი. ჭექას, ტკაცანს და ხმას, ეს  
იმისაგან წარმოსდგება, რომ ყოველი ორი ელექტრონის შე-  
ხლის დროს ჰაერი ძლიერ მოძრაობს, როგორც აქ არის და-  
ხატული ზარის ჩამორევის დროს და რა წამსაც ჰაერის ეს  
მღელვარება მოაღწევს ჩვენს ყურადღე, ჩვენ მაშინვე გავი-  
გებთ მის ხმას და ამ ხმას ვეძახით ქუხილს ანუ ჭექას.

#### 4. პირველად ჭინ გამოიკვლიბ ელექტრილი.

რომ ელვაც იგივე ელექტრონული ნაპერწყალია, მა-  
გრამ დიდი და ძლიერი, ეს პირველად დამტკიცა და გამოი-  
კვლია საფრანგეთის მეცნიერმა დალამბერმა. 10 მაისს 1752  
წელს მან დასდგა პარიზში 10 საერთაშორისო რეინის ხალხა. რო-  
ცა ჰაერში მოგროვდა ელვა-ქუხილიანი ღრუბლები, დალამ-  
ბერმა მიიღო ამ რეინის სკეტიდან ისეთივე ელვა და დიდრო-

ნი ნაპერწელები ელექტრონის, როგორც იმ დროს ცაში ხდებოდა.

ერთი წლის შემდეგ, სახელობრ—25 მეთათვეს 1753 წელს, ასეთივე რეინის ხალხი მიაჩათ პეტერბურგში რუსის ორში მეცნიერმა— ლომონოსოვმა და რინჩანმა. მხოლოდ ამათ ეს ხალხი კარში-კი არ მიართეს, არამედ შიგ კითხში და ზორულ მისი წვერი გაიძერინეს სახურავიდან გარეთ. როგორც დაგროვდა ლრუბლები და ცაში გაისმა ქუხილი, რინჩანი დაუყოვნებლივ მიიღიდა რეინის ხალხსთან, რომ ენახა—გამოვა იქიდან რამე ნაპერწელი თუ არა, მაგრამ ძეირად დაუკავდა მეცნიერს ასეთი გაბედულება! რა წამსაც მიიტანა ხელი



რინჩანის სიკედილი

რეინის ხალხსთან, გამოვარდა იქიდან საშინელი ძალის რგვალი ელვა და რინჩანი იქვე მკვდარი დაუდა.

## 5. ჰირფეულად ვინ აღმოაჩინა მექის ამცდები?

ასეთივე გამოცდა 1752 წელს, თიბითევში, მოახდინა ამერიკის შეცნიერმა ბენიძინ ფრანკლინმა და რაյკი შეიტყო რასვებ წარმოსდგება ელვა, მაშინვე წამალიც ვამოძებნა მის ასაცდენად. ამ წამალს ჩვენებურად ჰქვია მექის ამცდენი. მექის აცდენა აი რაში მდგომარეობს: რაიკი რკინის სწრაფიდ ვაჟყავს ელექტრონი, სახლის სახურავზე სდგამენ სიმაღლოთ 3—4 საეგნიან რკინის ჯონსა, ხოლო სისქით ორ გოჯამდის. წვერს ამ რკინის ჯონს უკეთებენ დაოქროებულის სპილენძისას, რომ არ ეანგდებოდეს. შემდეგ აბამენ სახურავზე დადგმულ რკინის ჯონს შევ ძირში სხეილ მავთულს, ჩამოჰყავთ სახლის ძირამდის და უშევებენ ვაში. ხოლო თუ ვა არ იშოვება, ნახშირით საესა 2—3 საეგნიან ორმოში.



მექის ამცდენი.

რა შენობასაც გამართული ექნება მექის ასეთი ამცდენი, ას შენობა სამუდამოდ დაცულია მექის დაცემისავებ და თუნდაც რომ დაეცეს, მექის ამცდენი სწრაფიად გააქანებს მას მიწაში და შენობა-ეკი მთელი გადარჩება...

## 6. ჩრდილოეთის ციმციმი.

როგორც ზემოთა ესთეტიკ, ელექტრონის ძალა გა-  
 შვდარია ბუნებაში ყველგან — ჰაერში, მიწაში, წყალში.  
 აღმიანებში და ცხოველებში, თუ მცნარეებში; ხოლო  
 გამოჩნდება მარტო მაშინ, როცა ზედ-მეტად არის საღმე მო-  
 გროვილი. მეტადრე ბევრია იგი ჰაერში და ღრუბლებში ელ-  
 ვა-ჭუხილის დროს და ინდერაც მაშინ ისერის დოლრონ ცე-  
 ცხლებს ელექტრონისას, რომლებსაც ჩვენ ელვას ვეძით.

მაგრამ ელვა-ჭუხილის დროსაც მუდამ ელვის სახით რო-  
 დი ჩნდება ელექტრონი. არის ისეთი შემთხვევა, როცა იგი  
 ვამოშუქებს როგორც ცეცხლის ალი  
 და არის ასე დროხინს, არა ქრება, გეგო-  
 ნება კოცონი ანთია და ის აშუქებსო.  
 ელექტრონის ასეთ ხანგრძლივს სინათლეს  
 მეცნიერები უწოდებენ ელექტრონულ  
 ციმციმს. ელექტრონულ ციმციმს თქვენ  
 ნახევთ მაღალ კოშკებზე, თუ იმ კოშკე-  
 ბზე ამართულია შუბები, მაღალ სამრე-  
 კლოების ჯვრებზე, ჯარის სიშტრების და  
 შუბების წვერებზე, როდესაც ჯარი მიდის  
 საღმე ელვა-ჭუხილის დროს და სხვა. ციმციმი კოშკის თავზე-



სასიმონო სანახვია ელექტრონის ციმციმის ნახვა, როცა ის ერთად ვამოჩნდება ხოლმე საღმე. ისტორიაში მო-  
 თხრობილია რამდენიმე ასეთი შემთხვევა. ამ ერთი ამბევი:  
 რომელების რამდენიმე ათასი ჯარის კაცი, გრძელი შუბებით  
 შეიარაღებული, მიღიოდა საომრად. უცურად დიწყო ავდა-  
 რი და მოდენა ჯარის შუბების წვერებზე მშვენიერი ციმცი-  
 მა ცეცხლები ვამოჩნდა, საღამო ხანი იყო და სანახობაც  
 ამიტომ უფრო სამური. ჯარი პირველ ხანად შეერთა, მა-

ვრაშ სარდლებში აუქსნეს, რომ ეს ღვთის წყალობა ჰქა ისახ  
ნიშნავს, რომ ჩეც გავიმარჯვებთო. ჯარი მართლაც გამხნევ-  
და, შეებრძოლა მტერს და გაიმარჯვა, თუმცა, თქვენც მიხვ-  
დებით, რომ აյ ღვთის წყალობა არაფერს შეაში იყო: ხიშ-  
ტების წვერებზე რომ ცეცხლები გამოჩნდა, ეს ელექტრონის  
ციმციმი იყო.

შენიშნული და დამტკიცებულია, რომ ელვა-ქუბილის  
დროს ელექტრონი ისე მრავლიდ გროვდება უცელაფერში,  
რომ იგი ცხადლივ გამოაშექებს ხოლმე აღამიანების სხეული-  
დან, მცნობებიდან, ცხოველებიდან, წვიმის წვეთებში და  
თვით სერუეაშიაც-კი. ხშირად ყოფილი მაგალითები, რომ



ვალისებრი ციმციმი.

ასეთ შემთხვევებში ბევრს უნახავს სინათლე და შუქი ადა-  
მიანთა თავების და ქუდების გარშემო, ხოლო ხეების კენწე-  
როებში და ლრუბლებში ისეთი ძლიერი შუქი უნახავთ, თა-

თქოს საგანგებოდ ყოფილიყოს განათებული. უკელა ეს, მუშავი მომავა არ უნდა, წარმოსდგება ელექტრონისავან.

მაგრამ ისე არაფერია ლამაზი და ტურქა სანახავი, როგორც ეგრეს-წოდებული ჩრდილოეთის ციმციმის ნახევ. ჩრდილოეთის ციმციმი იგივე ელექტრონით განათებაა ჩრდილოეთის ცის ღრუბლებისა. როგორც უკე ცსოქვით, ციც ძველებში არ იცის ელვა-ქუხილი და თუ იცის, ძლიერ იშვიათად. მაგრამ აქ აწერილი და დახატული ჩრდილოეთის ციმციმი იგივე ელვა-ქუხილია, იმ ვარჩევით, რომ ელვარება ძლიერი აქვს, მხოლოდ ქუხილი სრულიად არ ისმის, თუმცა მოგზაურები ირწმუნებიან — յატა ბეჯითად რომ ყური დაუგდოს, კარგად გაიგებს ყრუ პექა-ქუხილს და ტკაცა-ტკაცს...

ჩრდილოეთის ციმციმი ბევრნაირია, მაგრამ უკელაზე წარმტაცი და მშვენიერი ის არის, რომელსაც მეცნიერები ვეელისებურ ციმციმს ეძინან და რომლის სურათიც მოგვავს ზეცით.

ივ. როსტომაშვილი.





## ტრადის ომ.


პატიოულოსის დაკრძალვა.



ლოინთა შეცრობა დაბრუნდა ბრძოლის ველიდან ჰელლესპონტის ნაპირას ხომალდებთან და თავთავის სამხედრო კარვებში დაბინავდა. მირმიღონ ელთა რაზებს წინადადება მისუა ძლევა მოსილმა აქილევსმა ხამხედრო კარვებში დაბინავებულიყვნენ და პატიოულოსის ცხედარისათვის პატიო ეცათ. პელეისის ლვისადარი ვაჭიშვილი თავის სამხედრო ეტლით გაემართა იმ კარეისაკუნ. სადაც პატიოულოსის ცხედარი ესვენი, და გიმირთა გმირს გაძყდა მირმიღონ ელთა მთელი რაზმი, — ზოგნი ეტლებით, ზოგნი კი ფიხით. მთელმა ჯარმა აქილევსის წინამძღოლობით სამჯერ გარს შემოუარა იმ სამხედრო კარავს, სადაც პატიოულოსი ესვენი. ყველანი ხსა-მალუა ქვითინებდნენ, გათი ტირილის ხმა ზეცას გისმოდა და მსმენელთ მწუხარებას უორეცეცებდა. პელეიებს ცრემლები თვალთავან ნაკადულებრ გადმოსწერენ და მიწას პოხიერებდნენ.

ძლევა-მოსილმა აქილევსმა, როცა კარავს სამჯერ გარს შემოუარეს, ჰექტორის გაცივებული გვამი კარავში შეიტანა და თავის მეგობრის პატიოულოსის ცხედრის წინ პირქვე

დაგდო. შემდეგ გმირთა-გმირშა ქცედრის წინაშე დატერქეჭარით დაგდო. შელები გაცივებულ გულზე დადვა თავის მეგობარს და ესე-თი სიტყვებით მიმართა: „გიხაროდეს, ჩემო ძეირფასო შეგო-ბარო: ყველაფერი შეგისჩულე, რაც-ეი აღგითქვი! პექტორის, რომლის გაცივებული გვამი შენ წინაშე პირქვე ჰგდია, ხვალ-ვ მიჩმიდონ ელოთა გაუმაძლარ ძალებს სითრევად და დასა-გლეჯად გადაუგდებ! თორმეტი ხაუკეთებო ახალგაზდაც მოგ-ვიარე და მსხვერპლად მინდა შემოგწირო!“



აქილეესი პატროკლოსის ქცელართან.

აქილეესი დიდხანს იყო მუხლ-მოდრეებილი თავის გული-თად მეგობრის ქცედრის წინაშე და უხარე ურემლებს ნაკა-ლულებრ აფრქვევედა.

მირმიდონ ელოთა რაზმებმა უკვე შემოიხსნეს სამხედრო იარაღი, გამოხსნეს ცხენები ეტლებიდან და გმირთა გმირის აქილეესის ხომალდის მახლობლად დაბინავდნენ. პელიკის ვეფრში პატროკლოსის პატივსაცემლიდ და სისხლერიდ მეომრებს გაუმართა დიდებული ქელები. აქილეესიმ უბრძანა მზარეულებს ყველაფერი უხვად მოემზადებინათ. დაჰკლის



მრავალი ძროხა, დეკეულები, ცხერები, თხები და შესუების  
ლორები. დიდებულად გაუმასპინძლ და აქილევსი მირმილონელ-  
თა მეომრებს, ხოლო თვითონ გმირთა-გმირმა კი ქელებში  
მონაწილეობის მიღებაზე პატროკლოსის და კრძალვამდის უარი  
გამოიცადა.

სწორედ ამ დროს აქილევსთან მოვიდნენ აქვეყლთა  
სარდლები და მიმპატიებს ივი ელლინთა მხედრობის მთავარ-  
სარდლის სამხედრო კარავში. აქილევსი დიდი თხოვნის შემ-  
დეგ აქვეყლთა სარდლებს წამყვა იგამემნონის სამხედრო კა-  
რავში, სადაც წარჩინებულ სარდლებისათვის იგამემნონს  
ბრწყინვალე სალილი გაიმირთნა.

ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალმა, დაინახა თუ  
არა აქილევსი კარავში ფეხშემოდგმული, მყისვე უბრძანა  
მსახურებს გმირთა-გმირისათვის მიერთმიათ თბილი წყალი  
მტკერისა და ბრძოლის ველზე გასისხლიანებულ თავპირის  
გასაბანად.

„დიდებულო იგამემნონ!“ — ეს მიმართა პელეასის ვაჟი-  
შეილმა ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალს: „ვთიცა უვე-  
ლა ღმერთებზე უძლიერეს დიდებულსა და მაღალ ზეესს,  
სანამ ჩემ გულითად მეგობრის ცხედარს ცეცხლის აღი არ  
მიეკარება და სანამ მის სახსოვრად მაღალ საულიას არ ავ-  
მართავ, ხელს ვერ ვახლებ თბილი წყლით სავსე ჭურჭელს  
გასისხლიანებული თავპირის გასაბანად! ჩემი მწუხარება უსა-  
ზღვროა. მომიტევვ, რომ შენ მიერ წარჩინებულ სარდლე-  
ბისათვის გამართულ სალილში მონაწილეობას ვერ მივიღებ,  
სანამ პატროკლოსის ვაჟიებულ გვამს ღირსეულად პატივს  
არა ვევმ, მე გულს ვერ დავიმშეიღებ და ჩემი მწუხარებით  
სხვებსაც დავამწუხარებ და შევაწუხებ. იგამემნონ! უბრძანე  
მხედრობას, რომ ხვალ დილა-აღრიან ტყიდან ჩამოზიდონ  
შესა კოცონის გასაჩაღებლად. ჩემი გულითადი მეგობრის  
გვამი ხვალ უნდა დავწევათ კოცონზე.

საღილის გათავების შემდეგ სარდლები თავ-თავიანთ



361035320

„აქილეგი! განა ასე ჩქარა დამიეციშვე, უენ ხომ სიცოცხლის დროს უსაზღვროდ გუცვარდი! ნუ თუ ესეთი ხიყვარულის შემდეგ მკედარს უპატრონოდ მტოვებ! უენ ხომ იცი, რომ სიციოს კარებს, სანამ არ დამკრძალეთ. არ გამიღებენ. გარდაცვალებულთა სულები სიციოს არ შემიშვებენ, თუ ჩვეულებისმებრ არ დამკრძალეთ! გთხოვ, დაშარხე საქართვიდა და შემისუბუქე ჩრუხარება! მომეცი ხელი, ჩემი მეგობარო! ამიერიდან ქვეყნად არ დაგბრუნდები! ამიერიდან მე და უენ ჩვეულებრივად არ ვითათბირებთ სამხედრო საქმების შესახებ! სამწუხარო ბეჭისწერაშ სამუდამოდ ჩამომაშორის ჩემ-გულითად მეგობრებს და განსაკუთრებით კი უენ! მაგრამ, ჩემი გულითადო მეგობარო, უენი ბეჭის წერიც მოახლოო ვებულია! უენც მალე განუტევებ, ლვითისადარო იქილეგის, უენ დიდებულ სულის ტრიადის მაღალსა და მიუვალ ზღუდეების ახლოს! დიალ, უენი აღსასრულიც მოახლოო ვებულია! ხოლო ერთს რასმე გთხოვ და ვემუდარები ამისრულო! ჩვენ ხომ სიცოცხლის გამს განუყრელი მეგობრები ვიყენოთ და ამიტომ გთხოვ ჩემი მელები უენს ძვლებთან ერთ ლარნაჯში მოათვევებინო! ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა, ჩემი გულითადო მეგობარო!“

“კულატების შეგისტყოდება, ჩემი ძირითადი და კული-  
თადი შევაძლოთ ხოლო მომისხლოვდი და ერთი ძელებუ-  
რად გადავიცხოვ და ჩაიცირა მშენებალებდ გულში!“

ამ სიტყვების დამთანერება ძლიერს მოასწრო ექილევსმა.

პატიოკლოსის აჩრდილი ხადლაც უკვალოდ მიიმიღო. პელფასის ვაჟი შეიღო შე შლილიყვით ფეხზე წამოიჭრა და თვალ-ცრემ-ლიანი მირმიდონ ელებს მოუთხრობდა ნახული სიზმრის შე-სახებ. მირმიდონ ელოთა მეომრები მეტად შეიწუხა აქილევსის ნახულმა სიზმარმა და ყველანი სავონებელს ჩაავლო. მეომრე-ბი უბმოდ, მწუხარედ შეცყურებდნენ ერთმანეთს და ყველას თვალოთავან ცრემლი ნაკადულებრ გადმოსჩქეფდა.



ანდრომარაშ გაიგო თავის მეულლის პექტორის სიკედოლი (ის. ტრადის ომი „ნაკადული“ № 8)

დილის ნიაემა დედა-მიწას საამურად დაპქროლა. ის იყო თენდებოდა. მირმიდონ ელოთა რაზმები პატიოკლოსის დაკრ-ძალების თავდარიგს შეუდგნენ. ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალმა იგამეტნონმა ბრძანება გასცა, შეში ჩიმოეზიდნათ იდის მთავრებილებიდან პელლესპონ ტის ნაპირას, კოცონის გასაჩალებლივ. მეომრების უამრავი რიცხვი მოედო იდის მთავრებილებს და დაპუნქს თვალუწვდენელი მაღალი მუხე-ბი, რომლებიც საუკუნოებით გუშაგათ უდგნენ იდის ულ-რანსა და დაბურულს ტყეებს. დასკრეს ეს უზარმაშარი მუ-

ელვის სისწრაფით გამართეს კოუნი. ჰელვისის გმირთა-  
გმირმა ვადეშვილმა ამის შემდეგ უბრძანა მირმიდონ ელთა-  
მეობრებს შეიარაღებულიყვნენ და ეტლებში ცხვნები შეებათ.


უცელიანი უკვე მზად იყვნენ. იქილევსის ბრძანებით მო-  
კრძალებით გამოიტანეს სამხედრო ჯარეფიდან პატროკლოსის  
მცხედრი და სამგლოვიარო პროცესის კოუნისაკენ გაე-  
მართა. მიცვალებულს წინ მიუძღვიდნენ ცხენოსანი შეომრე-  
ბი. შეუახვე მისაცენებდონენ ცხედარს, რომელსაც გარს შემორტ-  
ყმოდა ამხანაგები და მეგობრები. მიცვალებულს თავში უდა-  
უსაზღვროდ შეუხარე აქილევსი და ცხარე ცრემლის ღაპილუ-  
პით უსცელებდა გაცივებულ პირის-ხახეს თავის გულითად  
მეგობარს. სამგლოვიარო პროცესის ბოლოში შეუხარედ  
მიღიოდა ელლინთა მხედრობის ქვეითა ჯარი. მიცვალე-  
ბული მისაცენებ დანიშნულს ადგილს. ცხედარი დასცენებს  
კოუნის მახლობლიად. მოელი მხედრობა გარს შემორტყა  
მალიად ამართულ კოუნს. აქილევსი მიუახლოვდა გუ-  
ლითად მეგობრის ცხედარს და თავისა და მხედრობის სახე-  
ლით გამოეთხოვა მიცვალებულს, უსაზღვროთ შეუხარე და  
თვალებცრემლიანმა აქილევსმა მოიკრა თავშე ერთი ბლუკა  
თმა, ჩაუდევა ხელში თავის მეგობარს და მუხლ მოდრევით  
უკანასკნელი „მშეობით“ გამოეთხოვა,

მხედრობის მთავარ-ხარდლებში ამის შემდეგ პატრიკელო-  
სის გვამი კოუნის შუა აღვილის დაასვენეს და ცეკვის  
ტყავებით დაპხურეს. კოუნის გარშემო შემოაწყევს თავლით  
და ერბოთ საესე კოკები და კისრები. კოუნზე შეიყვანეს  
ოთხი სასუეოებს ქანი და ორი ძალი. აქილევსის ბრძანე-  
ბით კოუნზე მოათვასეს ათი გვამი ის ტრიადელების გმირე-

ბისა, რომლებიც ძლევითოსილმა პელევისის დაერთვილმა ქსან-  
ტოსის ნაპირის ბრძოლის დროს სიცოცხლეს გამოსხალმა.  
ყველაფერი უკვე მზად იყო. კოცონს ცეცხლი შეუკეთეს.  
ღრმერთების ბრძანებით დაქტროლი წყნარმა ქარმა და კოცონი  
ერთიანად ცეცხლის აღში გაეხვია. აქილევსი და ელლინთა  
მხედრობის სხვა სარდლები თვალურემლიანი შეუხარედ გარს  
უვლიდნენ ცეცხლის აღში გახვეულს კოცონს და თრო გა-  
მოშევებით აზარტებებით დეინოს ასხურებდნენ პატროკლო-  
სის ცხედარს.

კოცონი ერთიანად დაიტერჯლა. მხედრობის მთავარ-  
სარდლებმა მოიგროვეს პატროკლოს ძვლები, ოქროს ლიარ-  
ნაკში ჩასდევეს, გადაუკრეს თაერ ძეირფასი საფენელით და  
აქილევსის სამხედრო კარავში წაიღეს. იმ ადგილს კი, საცა  
პატროკლოსის გვამი დასწევეს, ილიმალლეს დიდი ბექობი და  
ამის შემდეგ ყველანი თვალურემლიანი თავთავის სამხედრო  
კარვებში დაბრუნდნენ.

ა. მიქაბერიძე.





# გასართობი

## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი დ. ყიფ შიძის მიერ).

**მ**თხ ნაწილისგან შესდგება  
 ჩვენთვის ძეირუასი სახელი:  
 „ჩვენ დედად“ უხმობთ, ამაგობს  
 მითი ყოველი ქართველი.

პირველი არის წინსართი,  
 ძალიან ხშირად სახმარი,  
 იდგილის მაჩვენებელი  
 და მიზნის გამომსახივი,—

შეორე სტიქიონია:  
 ხან მძინვარეა, ხან წყნარი;  
 ხან ტყე-მინდორ-ველს დაჭმუს,  
 ხან ზღვაზე გააქვს ხარხარი;

ხან-კი სულ-განაბულია,  
 თითქოს მოსტყდათ მას მხარი,  
 ბოლომდან ბევრა მოჰკვეთეთ,  
 დარჩება თქვენთვის საჯმარი;—

შესამე ქართულ ანბანის  
 ასოა; რიცხვად ნახმარი—  
 ცხრას ნიშნევს, არც შეტს, არც ნაკლებს,  
 დაეთვალით თუა შართალი?


შეოთხე ჰქევია აღვილსა,  
 მინდერისა არის საღარი;  
 სიყვარულისგან ხელ-ქმნილი  
 ტარიელ რომ ჰრბის, საღ არი?

ბოლოდან ბგერა მოჰკვეთეთ,  
 მის ნაცვლად დასეით თქვენ „ო“-ნი  
 და წინანდელებს მიურთეთ,  
 აამუშავეთ ჰქვა-გონი.  
 შარალისათვის მის შეტი  
 არა გინდათ რა, მე მეონი.

**მთ-8 №-ზე მოთავსებულ შარადების და რიბუსის აღსნა:**

1. გურტანი. 2. გამბაზი.

ერთეულ დღესა შენ თავს ჰქითხებ, აბა მე დღეს ვის  
 რა ვარგებ.



**რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.**